Guria Fruits

ხარისხის სერტიფიკატი

პროექტის ფარგლებში შეიქმნა ხარისხის სერტიფიკატი და მასთან დაკავშირებული მიკვლევადობის სისტემა. განაცხადის ფორმა ხელმისაწვდომია ქართულ და ინგლისურ ენებზე პროექტის გვერდზე - www.guriafruits.ge. გთხოვთ, შეავსოთ ფორმა და დაუკავშირდეთ პროექტის გუნდს - ექსპერტებსა და ადგილობრივ მეწარმეებს გურული ვაზისა და ღვინის კლასტერიდან. როგორც კი მიიღებთ ხარისხის სერტიფიკატს, შეგეძლებათ გამოიყენოთ ლოგო თქვენს პროდუქტებზე, და პროდუქციის პოპულარიზაცია საიტზე, ისევე როგორც ყველა იმ საერთაშორისო შეხვედრებისა თუ სათანამშრომლო პლატფორმების დროს, რომლებიც დაკავშირებული იქნება პროექტის განხორციელებასთან.

მაგრამ ეს ყველაფერი არაა: თქვენ აიღებთ საიტზე შესასვლელ მონაცემებს და შეგეძლებათ უფასოდ QR კოდის გენერირება, რათა ნებისმიერმა მსურველმა შეამოწმოს პროდუქტის ნამდვილობა. ვერიფიკაციის შემდეგ, გამოყოფილი QR კოდები გადაიგზავნება მომთხოვნ მეწარმესთან. აღნიშნული კოდები შეინახება პროექტის მონაცემთა ბაზაში და ნაწარმზე დაბეჭდილი კოდის დასკანერებით, მყიდველი გადაამოწმებს პროდუქტის ნამდვილობას.

როგორ მივიღოთ გურიის ხილის პროდუქტის სერტიფიკატი? თქვენ შეგეკი-თხებიან, არის თუ არა თქვენი პროდუქტი წარმოებული ადგილობრივად, გადაამუშავებთ თუ არა თქვენ ხილს მდგრადი მეთოდებით და გარემოს პატივისცემით, იცავთ თუ არა თუ სანიტარულ ნორმებს და ასევე არის თუ არა თქვენი პროდუქტი დაკავშირებული გურიის კულინარიულ კულტურასთან. სერტიფიკატის მიღება მარტივია: ჩვენ ვართ დაფუძნებულები ადგილობრივად და დიდი ალბათობით უკვე ვიცნობთ თქვენ ნაწარმს.

პროექტი სახელწოდებით *გურიის ხილი* ხორციელდება პოლონეთში მდებარე ტარჩინისა და საქართველოში მდებარე ჩოხატაურის მუნიციპალიტეტების მიერ, მოსახლეობის მხრიდან ადგილობრივი განვითარების მხარდასაჭერად. ორივე მუნიციპალიტეტს გააჩნია მსგავსი დამახასიათებელი თავისებურებები და გამოწვევები: მრავალფეროვანი ხილის წარმოება, ხეხილის ბაღები, ყურადღების გამახვილება ტრადიციულ სახეობებზე და ადგილობრივი სასოფლო-სამეურნეო კულტურების მხარდაჭერა. პროექტის მიზანია წაახალისოს დარგთაშორისი თანამშრომლობა მუნიციპალიტეტებსა და აგრარულ ბიზნეს სექტორს შორის, რაც მხარდაჭერილია არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ.

პროექტს აქვს პრაქტიკული ხასიათიც და დაგეგმილია გრძელვადიანი თანამშრომლობის სახით. დაარსდა ადგილობრივი ხილის გადამამუშავებელი ინკუბატორი, რომელიც შეიქმნა და აღიჭურვა საერთო ხილის გადამამუშავებელი ინფრასტრუქტურით, რათა წაახალისოს ადგილობრივი თანამშრომლობა და საზოგადოების განვითარება. აღნიშნული ინკუბატორი დაარსდა გურიის ხილის ბრენდის ქვეშ, რომელიც მართულია ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციის-გურული ვაზისა და ღვინის კლასტერის მიერ. შეიქმნა და წახალისებულია ხარისხის სერტიფიკატი და ხარისხიანი საკვების საერთო ბრენდირება ისევე, როგორც მიკვლევადობის საშუალებები.

პროექტი თანადაფინანსებულია პოლონეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ, პოლონური დახმარება 2023-ის ფარგლებში.

დამატებითი ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით მითითებულ მისამართზე:
info@guriafruits.ge

Tarczyn
GMINA NATURALNIE ATRAKCYJNA

Polish aid